




ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 149

2016 წლის 19 დეკემბერი

ხაშური




ფრაქცია „ხაშურის მომავალი“-ს დაფუძნების ცნობად მიღების შესახებ

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, ფრაქცია - „ხაშურის მომავალი“-ს რეგისტრაციის მიზნით, მომართა ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებმა: ილია კაპანაძემ (ფრაქციის თავმჯდომარე, არჩეულია მაჟორიტარული წესით, უპარტიო), ირინე გრიგალაშვილმა (ფრაქციის წევრი, არჩეულია „ლეიბორისტული“ პარტიის სიით) და მანანა კაპანაძემ (ფრაქციის წევრი, არჩეულია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ პარტიის სიით, ამჟამად უპარტიო), რომლებმაც წარმოადგინეს „ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით“ გათვალისწინებული დოკუმენტაცია (განცხადება, ფრაქციის პოლიტიკური პლატფორმა და ფრაქციის წესდება), რაც ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის დასკვნის მიხედვით შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან, ვინაიდან ისინი ერთიანდებიან საერთო პოლიტიკური მიზნების მისაღწევად და ფრაქციის შექმნისთვის უარის თქმის კანონით გათვალისწინებული საფუძვლები დადგენილი არ ყოფილა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 30-ე მუხლის და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების მოთხოვნათა შესაბამისად, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. ცნობად იქნეს მიღებული ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ხაშურის მომავალი“-ს დაფუძნება თავმჯდომარე - ილია კაპანაძე.
2. განკარგულება ძალაში შედის ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებ-გვერდზე www.khashuri.org.ge გამოქვეყნებისთანავე და მოქმედება გავრცელდება 2016 წლის 16 დეკემბრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, სარჩელის წარდგენის გზით, ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მის: ხაშური, მერაბ კოსტავას ქ. № 15)

საკრებულოს თავმჯდომარე



ვაჟა შუბითიძე